საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-12/17540
25/12/2019

17540-2-12-2-201912251819

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის (F2) მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის განხორციელება, ხოლო აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით დაიგეგმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალას მიმდებარედ მდ.ძირულას მარცხენა სანაპიროზე გამონამუშევარი ფუჭი ქანების #9 სანაყაროსა და ნაპირადმცავი ნაგებობის (ქვანაყარი ბერმის) მოწყობის განხორციელება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, გიგზავნით აღნიშნულ პროექტზე სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიში - „1" (ერთი) წიგნი; სკრინინგის ანგარიშის ელ ვერსია და საპროექტო ტერიტორიის ბუფერი (Shp. file) – „1" (ერთი) CD.

პატივისცემით,

ალექსანდრე თევდორაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge